



**გადაწყვეტილება**

**შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ (ს/კ: 405029295) 2024 წლის 18 იანვრის №01/302**

**დაზუსტებული საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე**

**უარის თქმის შესახებ**

**1 პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები**

**1.1 საჩივრის ფორმალურ დასაშვებობასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები**

2024 წლის 11 იანვარს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ (ს/კ: 405029295) (შემდგომში - „მომჩივანი“) საჩივარი (რეგ. №01/139) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა) სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - „პროცედურა“) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას კანონით, პროცედურის მე-5 მუხლითა და მისი დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი პროცედურულ დონეზე ადგენს, რომ თუ წარდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, სააგენტო მომჩივანს უდგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი საჩივარი არ პასუხობდა პროცედურის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ (საჩივარი უნდა შეიცავდეს



მითითებას საჩივრის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე) და „ლ“ (საჩივარზე აგრეთვე უნდა მიეთითოს მომჩივანის ან მისი წარმომადგენლის სახელი, გვარი/დასახელება) ქვეპუნქტების იმპერატიულ მოთხოვნებს, სააგენტოს მიერ დადგინდა ხარვეზი და მომჩივანს განესაზღვრა დამატებითი ვადა დაზუსტებული საჩივრის წარმოსადგენად.

საბოლოოდ, მომჩივანმა 2024 წლის 18 იანვარს სააგენტოში წარმოადგინა დაზუსტებული საჩივარი (რეგ. №01/302), რომელიც ფორმალური კუთხით პასუხობდა კანონის და პროცედურის მიერ დადგენილ მოთხოვნებს და აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით დაიწყო საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმება.

## 1.2 მომჩივანის პოზიცია

საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს „დენკ ფარმა კავკასია“ (ს/კ: 405029295) წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციის გერმანული მწარმოებელი კომპანიის DENK PHARMA GmbH & CoKG შვილობილ კომპანიას, რომელიც აღნიშნული ბრენდის პროდუქციის მიწოდებას ახორციელებს სამხრეთ კავკასიასა (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) და აგრეთვე სხვა ქვეყნებში. მომჩივანის განმარტებით, კომპანია 20 წელზე მეტია ოპერირებს ქართულ ბაზარზე და თანამშრომლობს ადგილობრივ სააფთიაქო ქსელებთან.

მომჩივანის განმარტებით, 2023 წლის 27 დეკემბერს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მისთვის ცნობილი გახდა, რომ უწყება ფარმაცევტული კომპანია „ნოვარტისისგან“ ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს პირდაპირი შესყიდვის გზით შეიძენდა. შედეგად, 2024 წელს, პაციენტები, 8 დასახელების სხვადასხვა მედიკამენტს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიიღებდნენ. ეს მედიკამენტებია: „კისქალი“, „ჯაკავი“, „მეკინისტი“, „ტაფინლარი“, „ვოტრიენტი“, „აფინიტორი“, „ზომეტა“ და „ფემარა“.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ბაზარს აწვდის ზემოხსენებული მედიკამენტების ნაწილის - „ზომეტას“ და „ფემარას“ ანალოგიურ გენერიული დასახელების პროდუქტს. აღნიშნული მედიკამენტებია ფარმაცევტული პროდუქციის გერმანული მწარმოებელი კომპანიის DENK PHARMA GmbH & CoKG წარმოების „ლეტროზოლი დენკი“ 2.6 მგ ტაბლეტი და „ზოლედრო დენკი“ 4 მგ/5 მლ. მომჩივანი მიუთითებს, რომ მის მიერ საქართველოს ბაზრისათვის მისაწოდებელი ზემოაღნიშნული პროდუქციის ღირებულება „ნოვარტისის“ პროდუქტთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომი იყო მომხმარებლისათვის. აღნიშნულის ფონზე, მომჩივანს მიაჩნია, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში მხოლოდ „ნოვარტისის“ პროდუქციის ჩართვის შესახებ ზღუდავს მომხმარებლის ხელმისაწვდომობას მის პროდუქტზე და უსამართლო უპირატესობას ანიჭებს

„ნოვარტისის“ პროდუქციას. მომჩივანი დამატებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მედიკამენტ „ზომეტას“ და „ფემარას“ შემთხვევაში პროდუქცია არ არის ინოვაციური.

მომჩივანს მიაჩნია, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართული მოსარგებლეები არ უნდა იყოვნენ დამოკიდებული მხოლოდ ერთი ან თუნდაც ორი კონკრეტული კომპანიის პროდუქტზე.

მომჩივანი დამატებით აპელირებს სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად მიყენებულ შესაძლო ზიანზე, კერძოდ მისი განმარტებით თუ არ განხორციელდება კომპანიის ზემოხსენებული მედიკამენტების საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართვა, მოუწევს შეწყვიტოს ამ პროდუქტის იმპორტი/რეალიზაცია საქართველოში და გაიწვიოს ქართული ბაზრიდან აღნიშნული პროდუქციის რეგისტრაციები. რაც შეეხება ქონებრივ ზიანს, მომჩივანის განმარტებით იგი დაანგარიშდება იმ გაყიდვების ოდენობით, რაც გასულ წელს გააჩნდა მის კომპანიას ზემოხსენებული ორი მედიკამენტის ნაწილში, რაც შეადგენს ლარს.

ამდენად, მომჩივანის შეფასებით, ფარმაცევტული კომპანია „ნოვარტისისგან“ ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების პირდაპირი შესყიდვის გზით შეძენით, ადგილი აქვს სამინისტროს მხრიდან კონკურენციის სავარაუდო შემზღვეველ ქმედებას, რაც გამოიხატება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

### 1.3 მოპასუხის პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხებთან მიმართებით

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია სრულყოფილი საჩივრის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოპასუხეს შემოსული საჩივრის შესახებ, გარდა კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრისა, და განუსაზღვროს ვადა მოსაზრებების/მტკიცებულებების წარმოდგენისათვის. მოპასუხე უფლებამოსილია, სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები/მტკიცებულებები საჩივრის თაობაზე, სააგენტოს მიერ მითითებულ ვადაში.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სააგენტოს 2024 წლის 21 იანვრის წერილით (რეგ. №02/209) დაზუსტებული საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ სამინისტროს.

მოპასუხემ, 2024 წლის 7 თებერვალს (რეგ. №01/758) სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა ვრცელი პოზიცია. კერძოდ, სამინისტროს განმარტებით მედიკამენტებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ონკოლოგიური დაავადებების მართვა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობის აქტიური მხარდაჭერით მოსახლეობისთვის მაღალხარისხიან და ეფექტიან ჯანმრთელობის სერვისებზე, მათ შორის მედიკამენტებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით არაერთი ღონისძიება განხორციელდა.

მოპასუხის პოზიციით, მიუხედავად საქართველოს მთავრობის ძალისხმევისა, ძვირადღირებული მედიკამენტები კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის. მაღალი ფასები ასევე საფრთხეს უქმნის ჯანდაცვის სისტემის ფინანსურ მდგრადობას, ვინაიდან სერიოზულ გავლენას ახდენს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მედიკამენტების ანაზღაურების კომპონენტზე. სახეზეა „დაუკმაყოფილებელი საჭიროებები“, რადგანაც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით დადგენილი წლიური ლიმიტების ფარგლებში პაციენტი სრულად ვერ ღებულობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მედიკამენტებს.

შედეგად, ხსენებული გამოწვევის საპასუხოდ, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთ-ერთ პრიორიტეტად დარჩა, რათა სახელმწიფო პროგრამებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში პაციენტების მეტი საჭიროებები ყოფილიყო დაკმაყოფილებული და შემცირებულიყო ე.წ. „ჯიბიდან გადახდები“. გაანალიზდა გასულ წლებში სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები ონკოლოგიური მედიკამენტების მიხედვით და იდენტიფიცირდა მათი მწარმოებელი ძირითადი ფარმაცევტული კომპანიები.

მოპასუხე აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 სექტემბრის №1597 განკარგულებით, საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს დაევალა ონკოლოგიური მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან დაუყოვნებლივ, შეზღუდულ ვადებში დაეწყო მოლაპარაკებები მათ მიერ წარმოებული მედიკამენტების სპეციალურ ფასად შესყიდვის მიზნით. შედეგად, მოლაპარაკება შედგა და ხელშეკრულება გაფორმდა მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებთან „როში“ და „ნოვარტისი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.

მოპასუხის განმარტებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსა და ფარმაცევტულ კომპანია „ნოვარტისი“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 2023 წლის 22 დეკემბერს. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესყიდული მედიკამენტების (მათ შორის, „ზომეტა“ და „ფემარა“) მიწოდება

ხორციელდება “საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36-ე დადგენილებით (შემდგომში - „№36 დადგენილება“) გათვალისწინებული ბენეფიციარებისთვის.

ამასთან, მოპასუხის განმარტებით ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 ნოემბერის №437 დადგენილებით, რომლითაც ცვლილება შევიდა №36 დადგენილებაში. აღნიშნული წესი, ნორმატიულ დონეზე ითვალისწინებს, მათ შორის ასეთი ტიპის მედიკამენტების შესყიდვას (მათ შორის, ლეტროზოლი (ფემარა) და ზოლენდრონის მჟავა (ზომეტა) უზრუნველყოფა).

მოპასუხე დამატებით განმარტავს, რომ მინისტრის 2021 წლის 13 ივლისის 01-274/ო ბრძანებით (რომელიც ჩანაცვლდა მინისტრის 2024 წლის 7 თებერვლის MOH 4 24 00000035 ბრძანებით) დამტკიცებულია მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინკინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხა, სადაც აგრეთვე ბისფოსფონატებში გათვალისწინებულია ზოლენდრონის მჟავა (ზომეტა).

მოპასუხემ საბოლოოდ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ ონკოლოგიური პაციენტების სიმსივნის საწინააღმდეგო, ასევე ქიმიო და ჰორმონოთერაპიის მედიკამენტების (მათ შორის, ლეტროზოლი (ფემარა) და ზოლენდრონის მჟავა (ზომეტა)) მწარმოებლისგან პირდაპირ შესყიდვა ემსახურებოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, რაც მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, უპირატესად მიმართული იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

#### 1.4 მოპასუხის დამატებითი პოზიცია

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა დამატებით დაეზუსტებინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

შედეგად, სააგენტომ 2024 წლის 16 თებერვლის №02/503 წერილით დამატებით მიმართა მოპასუხეს გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, მათ შორის მოთხოვნილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოების დაზუსტება:

- მედიკამენტი ფემარა (ლეტროზოლი) მიეკუთვნება თუ არა №36 დადგენილების №1.1 დანართის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, №1.3 დანართის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, №1.4 დანართის პირველი

პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჰორმონოთერაპიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წლიური თანხობრივი ლიმიტით.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ, 2024 წლის 28 თებერვალს (რეგ: №01/1146) სააგენტოში დამატებით წარმოადგინა წერილობითი პოზიცია სააგენტოს მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. შედეგად, მოპასუხემ წერილობით დაადასტურა, რომ მედიკამენტი ფემარა (ლეტროზოლი) მიეკუთვნება №36 დადგენილების №1.1 დანართის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, №1.3 დანართის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, №1.4 დანართის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჰორმონოთერაპიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წლიური თანხობრივი ლიმიტით. მოპასუხის განმარტებით, ჰორმონოთერაპიის პროცედურასთან დაკავშირებული მედიკამენტებიც ანაზღაურდება №36 დადგენილებით განსაზღვრული წესით, ხოლო ასეთი მედიკამენტების ცალკეული სია პროგრამის ფარგლებში არ არის განსაზღვრული.

## 2. ნორმატიული რეგულირება

### 2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

სააგენტოში საჩივრის წარდგენის და აგრეთვე სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-10 მუხლი ე.წ. Numerus Clausus-ის პრინციპის<sup>1</sup> მიხედვით, ამომწურავად განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც ეკრძალებათ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ:

---

<sup>1</sup> „დახურულ რიცხვთა პრინციპი“ - მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ ამომწურავ ჩამონათვალზე <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=11508>

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### **3. სამოტივაციო ნაწილი**

#### **3.1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოქმედების სფერო**

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ხაზი უნდა გაესვას, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, ამ საკითხის შინაარსობრივი ანალიზი აღარ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე.

სააგენტო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ საჩივარში საუბარია კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა შემდეგი:

**ა) სახეზე უნდა იყოს ქმედების ჩამდენი სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს სათანადო მოპასუხე. აღნიშნული**



დანაწესის მიხედვით, კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის საკითხი შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებთან მიმართებით, რომელიც/რომლებიც როგორც უკვე აღინიშნა იმავდროულად უნდა იყოს/იყვნენ სათანადო მოპასუხე/მოპასუხეები;

ბ) ექცევა თუ არა სათანადო მოპასუხის ქმედება კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში;

გ) უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ეჭვის სტანდარტი.

### 3.2. სააგენტოს შეფასება

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია პირველ რიგში ყურადღება გამახვილდეს და შეფასდეს წარმოადგენს თუ არა სამინისტრო სათანადო მოპასუხეს და ამის შემდგომ კანონის მე-10 მუხლის სუბიექტს. აგრეთვე, სახეზე ხომ არ არის კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისი - „გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა“.

#### ა) სამინისტრო, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის ორგანო. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად კი მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან, ხოლო სამინისტრო იქმნება მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად (ხელმძღვანელობს მინისტრი).

„მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების მეშვეობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულება, ექცევა კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს“ ცნებაში და წარმოადგენს ამ ნორმის ადრესატს.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურ-სამართლებრივი კუთხით სამინისტრო წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლის ადრესატს, სააგენტო საჩივრის დასაშვებობის ფარგლებში გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამინისტრო არ წარმოადგენს სათანადო მოპაუხე მხარეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებში მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 ნოემბრის №2013 განკარგულების საფუძველზე, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსა და ფარმაცევტულ კომპანია „ნოვარტისს“ შორის იმავე წლის 22 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის პირობების მიხედვითაც, შესყიდული მედიკამენტების (მათ შორის, „ზომეტა“ და „ფემარა“) მიწოდება ხორციელდება №36 დადგენილებით გათვალისწინებული ბენეფიციარებისათვის.<sup>2</sup>

ამასთან, როგორც უკვე ამ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღინიშნა, ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 ნოემბრის №437 დადგენილებით, რომლითაც ცვლილება შევიდა №36 დადგენილებაში. აღნიშნული წესი, ნორმატიულ დონეზე ითვალისწინებს, მათ შორის ასეთი ტიპის მედიკამენტების შესყიდვას. აქვე აღსანიშნავია, რომ №36 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ამ დადგენილებით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სამართლებრივი მსჯელობისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას აგრეთვე, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებებს, რომელიც რეგლამენტირებულია ნორმატიულ დონეზე, მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულებით (შემდგომში - „დებულება“). დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული უწყება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს №509 დადგენილების შესაბამისად შექმნილი სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ხოლო, ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებებია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“

<sup>2</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 6 თებერვლის №MOH32401144152 წერილი (სააგენტოში რეგ. №01/758; თარიღი: 07/02/2024)

ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში მინიჭებული აქვს პარტნიორ, დონორ, საერთაშორისო, საქართველოს ან უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციებთან/დაწესებულებებთან/იურიდიულ პირებთან ურთიერთობის დამყარება (მათ შორის, ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება), ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სააგენტოს გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს. საკუთარი სახელით გამოდის მხარედ სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობებში.

შესაბამისად, ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით (მათ შორის „ზომეტა“ და „ფემარა“) უზრუნველყოფის ნაწილში, დღეის მდგომარეობით მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე, ცალსახაა, რომ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, როგორც სპეციალური უფლებაუნარიანი სუბიექტი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს. ამასთან დამატებით აღსანიშნავია, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობა გაცემულია სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართ<sup>3</sup>.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, საჩივარში მითითებული სადავო ქმედებიდან გამომდინარე, სამინისტრო წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს და მის ნაწილში, კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველი.**

**ბ) სათანადო მოპასუხე - სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ცნებას, კერძოდ კი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო

<sup>3</sup> სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 11 ოქტომბრის №2779 განკარგულება.

სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, რომელიც მისი დებულების შესაბამისად წარმოადგენს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, წარმოადგენს ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციასა და მისი განხორციელების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებას. შედეგად, სააგენტოს შეფასებით, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო ჯდება კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტის დისპოზიციის და იგი წარმოადგენს მოცემულ საქმეში სათანადო მოპასუხეს.

გ) ექცევა თუ არა სათანადო მოპასუხის ქმედება მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ „გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევაში“

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-10 მუხლის ყველა სპეციალური ნორმატიული შემადგენლობა („ა“-„ე“ ქვეპუნქტები) შეიცავს დათქმას - „გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. რაც გულისხმობს, რომ ამ მუხლის სუბიექტს დარღვევად არ შეერაცხება ამავე მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომლის განხორციელებასაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

აღნიშნული დათქმის შინაარსის სიცხადისთვის, აუცილებელია განიმარტოს, თუ რომელი სამართლებრივი აქტები განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობას და ამდენად, რომელი აქტის შესაბამისად მოქმედება გამორიცხავს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტის პასუხისმგებლობას კონკურენციის დარღვევისათვის.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის **საქართველოს კანონმდებლობას**.

ამავე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმდებარე (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი.

ხოლო, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის

შესასრულებლად იქნა მიღებული იგი. საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება ამ კანონითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით უზრუნველყოფის წესი“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მომზადების მიერ მედიკამენტების (მათ შორის „ზომეტა“ და „ფემარა“) შექმნა პირდაპირ მწარმოებლისგან, წარმოადგენს №36 დადგენილების შემადგენელ ნაწილს (დანართი №1.16 – „ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით უზრუნველყოფის წესი“ (შეტანილია ცვლილება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 ნოემბრის №437 დადგენილებით)), ხოლო აღნიშნული დადგენილება არის საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტი, შემდეგ გარემოებათა გამო:

- ფორმალურ სამართლებრივად №36 დადგენილება და მასში 2023 წლის 8 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით შეტანილი ცვლილება მიღებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების („საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი) საფუძველზე და მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის ნორმატიული ხასიათის აქტს;
- ორივე, №36 დადგენილება და მასში 2023 წლის 8 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით შეტანილი ცვლილება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში - „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრული „ოფიციალური გამოქვეყნების წესით“;
- ორივე, №36 დადგენილება და მასში 2023 წლის 8 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით შეტანილი ცვლილება შესულია კანონიერ ძალაში და მოქმედია.

ამდენად, სააგენტოს შეფასებით №36 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 ნოემბრის №437 დადგენილებით შეტანილი ცვლილება სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს, როგორც პროგრამის განმახორციელებელს ანიჭებს №36 დადგენილების დანართებით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის (დანართები - №1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით, №1.3-ის პირველი პუნქტის „გ.გ“ და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტებითა და №1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მოსარგებლეებისთვის), მოცემული დანართების იმავე პუნქტებით განსაზღვრული, როგორც მინისტრის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტის, (მათ შორის მედიკამენტ „ზომეტას“ - გათვალისწინებულია მინისტრის 2024 წლის 7 თებერვლის MOH 4 24 00000035 ბრძანების დანართში „ზოლენდრონის მჟავა“) ისე ამავე დანართებში მითითებული ჰორმონოთერაპიის

შემადგენელი მედიკამენტების (მათ შორის მედიკამენტ „ფემარას“ - მიეკუთვნება ჰორმონოთერაპიის შემადგენელს<sup>4</sup>) შესყიდვის უფლებას ნორმატიულ დონეზე.

გამომდინარე იქიდან, რომ №36 დადგენილება და მასში 2023 წლის 8 ნოემბერის საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით შეტანილი ცვლილება წარმოადგენს მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ისინი ექცევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ გამონაკლისში - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, ამ ნორმატიული აქტების კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით შეფასება სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს.

დამატებით ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის განმარტება „ნორმატიულ აქტთან“ მიმართებაში, კერძოდ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. შედეგად, მოცემულ შემთხვევაში სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით უზრუნველყოფის მიზნით მედიკამენტების პირდაპირ მწარმოებლისგან შესყიდვა ობიექტურად ემთხვევა აღნიშნული ნორმის დისპოციზიას, კერძოდ №36 დადგენილება და მასში 2023 წლის 8 ნოემბერის საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით შეტანილი ცვლილება შინაარსობრივად მოიცავს ისეთი ქმედების განხორციელებას (მუდმივად ან დროებითი სახით), რომელიც შეიცავს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს (მედიკამენტების შესყიდვა, ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა)<sup>5</sup>.

დამატებით უნდა აღინიშნოს, კანონის მე-10 მუხლის თითოეულ სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაში მითითებულ საგამონაკლისო ჩანაწერთან („გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“) დაკავშირებით, სააგენტოს მიერ დადგენილია ერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, სააგენტომ 2015 წლის 30 მარტის №40 გადაწყვეტილებაში (შემოსავლების სამსახურის საქმე) განმარტა შემდეგი: **„მინისტრის ნორმატიული ბრძანების განმარტება სცილდება სააგენტოს კომპეტენციას, რადგან იგი წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ქმედების შეფასებას ახორციელებს მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით და არ წარმოადგენს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ იმსჯელოს ამ კონკრეტული ნორმის განმარტების მართლზომიერებაზე. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ამ ნორმის განმარტებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეფასებულია მისი აღმასრულებელი კანონმდებლობით**

<sup>4</sup> <https://www.drugs.com/femara.html>

<sup>5</sup> ონკოლოგიურ პაციენტთა სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთი მედიკამენტით უზრუნველყოფის წესი, პუნქტი 1, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

*განსაზღვრული ნორმატიული მოცემულობის პრაქტიკული განხორციელებადობა. შესაბამისად, წინამდებარე შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის ქმედების შემფასებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სასამართლო.<sup>6</sup>*

ყოველივე ზამოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მტკიცებულებების და დამატებით მოძიებულ ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, სათანადო მოპასუხის მიერ განხორციელებული ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო აღნიშნული მოცემულობა კი ჯდება კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის დისპოზიციის, სახეზეა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა.

მოცემულ შემთხვევაში, აღარ დგას მომჩივანის მხრიდან სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი დისპოზიციის ელემენტის არსებობა უკვე შეუძლებელს ხდის ამ ქმედების კანონის მე-10 მუხლის კონტექსტში განხილვას და დარღვევის გონივრული ეჭვის არსებობა/არ არსებობის და შემდგომ უკვე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადასტურება/არ დადასტურებას, ვინაიდან როგორც უკვე ზემოთ არაერთხელ აღინიშნა ნორმატიული აქტის შეფასების უფლებამოსილება, სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობით არ გააჩნია.

შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმეზე მოკვლევის დაწყების სამართლებრივი საფუძველი.

## სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარგდენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი - მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

<sup>6</sup> სააგენტოს 2015 წლის 30 მარტის №40 გადაწყვეტილება (შემოსავლების სამსახურის საქმე), გვ. 17-18

### სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ (ს/კ: 405029295) 2024 წლის 18 იანვრის №01/302 დაზუსტებული საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე, მათ შორის სათანადო მოპასუხე მხარეს.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე

